



საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა
სადისციპლინო კოლეგია
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№ 4/01-2018

21 იანვარი 2019 წელი

საქართველოს საერთო სასამართლოების
მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ
შემდეგი შემადგენლობით:
თავმჯდომარე - ამირან ძაბუნაძე
წევრები: თეა ძიმისტარაშვილი
ნიკოლოზ მარგველაშვილი

მიღვანი - თამარ გაგუა

მხარეები:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

წარმომადგენლები: ვალერიან გავაშელი, ონისე მეტრეველი, იოსებ ვარძელაშვილი;

---- სასამართლოს მოსამართლე ----;

დახურულ სხდომაზე განიხილა დისციპლინური საქმე ---- სასამართლოს მოსამართლის ----
მიმართ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 8 ოქტომბრის N--
გადაწყვეტილებით ---- 2017 წლის 12 ივლისის N-- საჩივრის საფუძველზე დისციპლინური
დევნის აღძვრის წინასწარი შემოწმების შედეგად, „საქართველოს საერთო სასამართლოების
მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური
სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“
ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის (2018 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) თანახმად, ----
სასამართლოს მოსამართლის - ---- მიმართ აღიძრა დისციპლინური დევნა, რომლის
საფუძველი გახდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის
75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური
გადაცდომა - სამოსამართლეო ეთიკის ნორმების დარღვევა.

მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემას საფუძვლად დაედო შემდეგი გარემოებები:

საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ ---- სასამართლოს მოსამართლის ---- წარმოებაშია, მოსარჩელე - ---- და მოპასუხიე ---- საჩივრები, --- სასამართლოს 2016 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებაზე. -- საჩივრის განხილვა დაინიშნა 2017 წლის 1 ივნისს. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, -- საჩივრის განხილვა მოსამართლე ---- მხრიდან უშუალოდ საჩივრის ავტორის მისამართით მიმდინარეობდა დამამცირებლად, შეურაცხმყოფელი ტონით, აგრესიულად და თავშეუკავებლად. მოსამართლის ქმედება --- საჩივრის განხილვისას მიმდინარეობდა სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევით, მისი ქმედებები იყო მოსამართლისათვის შეუფერებელი, რითაც ილახება სასამართლოს ავტორიტეტი და ნდობა.

2014 წლის 1 ივლისს ----, სარჩელით მიმართა --- სასამართლოს, მოპასუხეების - ---, ---, ---, - --- და --- მიმართ, გარიგების ბათილად ცნობისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

---- სასამართლოს 2016 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება-დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, ---- სასარჩელო მოთხოვნა - ბათილად იქნეს ცნობილი ერთის მხრივ ---, ---, ---, --- და მეორეს მხრივ --- შორის 2014 წლის 28 იანვარს დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება მისი თანმდევი შედეგებით - დაკმაყოფილდა; --- მოთხოვნა - დადებულად იქნეს აღიარებული უძრავი ნივთის ნასყიდობის შესახებ გარიგება ერთის მხრივ, მოსარჩელე --- და მეორეს მხრივ ---, ---, ---, --- შორის და მოსარჩელე --- ცნობილი იქნეს ამ უძრავი ნივთის მესაკუთრედ - უარყოფილ იქნა.

---- სასამართლოს გადაწყვეტილება --- მიერ 2016 წლის 18 ოქტომბერს გასაჩივრდა სააპელაციო წესით, ხოლო --- მიერ გასაჩივრდა 2016 წლის 20 ოქტომბერს.

---- სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილებით, -- სააპელაციო საჩივარი უარყოფილ იქნა, ხოლო ---- სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; --- სასამართლოს 2016 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება-დაუსწრებელი გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; --- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო საჩივრის განხილვა მიმდინარეობს საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

---- სასამართლოში 2017 წლის 1 ივნისს გამართულ სასამართლო სხდომაზე მოსამართლე --- და მხარეს შორის გაიმართა შემდეგი სახის დიალოგი:

1) ---: „სანამ სასამართლოში მოვიდოდი, მე პროკურატურაში მქონდა შეტანილი განცხადება და ის სისხლის სამართლის მასალები თქვენს საქმეს არის მოყოლილი...“

მოსამართლე (----): „სისხლის სამართლის მასალები ნაკლებად მაინტერესებს...“

2) **მოსამართლე (----):** „ჩვენ ვერ გადავახტებით მატერიალურ ნორმას გითხარით ახლა...“

----: „მაშინ, მითხარით ავდგე და პირდაპირ წავიდე სასამართლოდან...“

მოსამართლე (----): „ეგ თქვენი უფლებაა, შეგიძლიათ ადგეთ და წაბრძანდეთ...“

3) ----: „არა ბატონო თქვენ მეუბნებით... მე ნებისმიერ შემთხვევაში დასაბუთებას მოვითხოვ...“

მოსამართლე (----): „დასაბუთება რა თქმა უნდა იქნება, ამას არ დაგამადლით...“

----: „არც უნდა დაამადლო, სასამართლო იმისთვისაა რომ დასაბუთებული გადაწყვეტილება გამოიტანოს... თქვენი დასამადლებელი არაფერი არ აქვს მხარეს, ბატონო - ---...“

მოსამართლე (----): „ხოდა არ დაგამადლით მეთქი, იგივე გითხარით მეც....“

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე დისციპლინური საქმის განხილვისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებმა სრულად დაუჭირეს მხარი დისციპლინურ ბრალდებას.

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე მოსამართლე ----, აღნიშნა, რომ მხარის წარმომადგენელი ---- განზრახ არიდებდა თავს სასამართლოს მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემას და ცდილობდა სასამართლოს ყურადღების გადატანას სხვა საკითხზე. პოლემიკა მოსამართლესა და წარმომადგენელს ---- შორის გაიმართა წმინდა სამართლებრივ საკითხზე, აუდიო ოქმის მოსმენის შედეგად ნათელია, რომ მომჩივანთან საუბრისას მისი მხრიდან არ გამოყენებულა ისეთი სიტყვათა წყობა, არათავაზიანი მიმართვის ფორმა ანდა ინტონაცია, ხმის ტემბრი, რაც ადვოკატის მიმართ მის ირონიულ დამოკიდებულებაზე მიუთითებდა. მოსამართლის განმარტებით, მას ---- საუბრისას დაცული აქვს თავაზიანი, „თქვენობითი“ ფორმა. მოსამართლის მხრიდან ადვოკატისადმი, ან უშუალოდ მხარისადმი მიმართვა - „არ დაგამადლით გადაწყვეტილების დასაბუთებას“ - არასწორია და ამგვარი ფორმით სასამართლომ ადვოკატს არ უნდა მიმართოს, თუმცა მოსამართლის განმარტებით, მან კონკრეტულ სიტუაციაში იგულისხმა, რომ გადაწყვეტილების დასაბუთება სასამართლოს კანონიერი მოვალეობაა, რაც კვალიფიციურმა ადვოკატმა კარგად იცის და ამ ვალდებულების შესრულებისათვის სასამართლო მადლიერებას არ მოითხოვს. ასევე აღნიშნა, რომ სიტყვა „დამადლება“ არ განეკუთვნება შეურაცხმყოფელ, ირონიულ, უარყოფით სიტყვათა კატეგორიას და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით მიაჩნია მოსამართლის დოსციპლინური დასჯა მხოლოდ სიტყვის ან ფრაზის არასწორი ფორმულირებისთვის, რაც არ არის შეურაცხმყოფელი, არათავაზიანი ხასიათის და არც შედეგობრივად არანაირი ზიანი არ მოჰყოლია მხარისათვის, ამგვარი მცირედი გადაცდომის მოსამართლის დისციპლინურ პასუხიმგებლობის საფუძვლად მიჩნევა დაუშვებელია.

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ განიხილა დისციპლინური საქმე, შეისწავლა აღნიშნული საქმის მასალები, მოუსმინა დისციპლინური ბრალდების მხარეს, დადგენილად სცნო დისციპლინური ბრალდების ფაქტობრივი მხარე და მიიჩნია, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი სამართლებრივი ხასიათის გარემოებები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75³⁹-ე მუხლის თანახმად, სადისციპლინო კოლეგია ადგენს, ჩაიდინა თუ არა მოსამართლემ ქმედება, რომლისთვისაც მას წარედგინა დისციპლინური ბრალდება, და ამ კანონის შესაბამისად არის თუ არა ეს ქმედება დისციპლინური გადაცდომა, სადისციპლინო კოლეგია ასევე ადგენს, მიუძღვის თუ არა მოსამართლეს ბრალი დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში. მხოლოდ სამივე ამ გარემოების არსებობისას არის დისციპლინური კოლეგია უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილება მოსამართლის ბრალეულად ცნობისა და მისთვის დისციპლინური

პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების შესახებ. სადისციპლინო კოლეგია უფლებამოსილია შეცვალოს მოსამართლის ქმედების კვალიფიკაცია ამ კანონის 75¹-ე გათვალისწინებული ნებისმიერი სახის დისციპლინური გადაცდომით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს წარმოადგენს დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში მოსამართლის ბრალეულობის დადგენის სავალდებულობა. თავის მხრივ, ბრალეულობის დასადგენად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა ის ობიექტური გარემოება, რამაც დისციპლინურ გადაცდომად შერაცხული კონკრეტული ქმედების ჩადენა განაპირობა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახს წარმოადგენს - სამოსამართლეო ეთიკის ნორმების დარღვევა.

იმისთვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს სამოსამართლეო ეთიკის ნორმების დარღვევა.

სამოსამართლო ეთიკის წესების მე-9 მუხლის თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. ამასთან, სასამართლო სხდომის დარბაზში სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ვალდებულია უზრუნველყოს სასამართლო წესრიგის დაცვა, იმოქმედოს კანონის შესაბამისად და პროცესის დამსწრე ყველა პირისაგან მოითხოვოს კორექტული დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ.

ამასთან, ბანგალორის პრინციპების 6.6 პუნქტის თანახმად მოსამართლემ უნდა შეინარჩუნოს წესრიგი და ეტიკეტი სასამართლოში მიმდინარე ყველა სხდომაზე, იყოს მომთმენი, ღირსეული და თავაზიანი მხარეების, მსაჯულთა, მოწმეების, ადვოკატების და სხვათა მიმართ, რომელთაზე უწევს ურთიერთობა ოფიციალური სტატუსით. მოსამართლემ მსგავსი ქცევა უნდა მოსთხოვოს მხარეთა წარმომადგენლებს, სასამართლო პერსონალს და სხვებს, რომლებიც ექვემდებარებიან მოსამართლის ზეგავლენას, ხელმძღვანელობას ან კონტროლს.

ასევე, მეტად საინტერესოა ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის #3 დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა სამართლიანობა, ქეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი (§22).

საერთაშორისო დისციპლინური პრაქტიკა აჩვენებს, რომ მხარის მიერ მოსამართლის პროვოცირება შესაძლებელია იყოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი, თუმცა არა გამომრიცხავი გარემოება (იხილეთ აშშ-ს დისციპლინური პრაქტიკიდან საქმე Michael J. Donohue; აშშ-ს მეცხრე ოლქის სააპელაციო სასამართლოს 1991 წლის გადაწყვეტილება საქმეზე Pau V. Yosemite Park & Curry Company, სადაც მოსამართლემ ადვოკატის მიმართ: „მე არ მგონია თუ მომიწევდა თქვენთვის სამართლის ლექციის ჩატარება“; დისციპლინური საქმე Bruce Van Voorhis, სადაც მოსამართლემ ნაფიცი მსაჯულების თვალწინ ნეგატიურად შეაფასა დამცველის საუნივერსიტეტო განათლება). ყველა მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლის ქმედება შეფასდა როგორც უპატივცემულობის გამოხატულება პროცესში მონაწილე მხარეების მიმართ.

მოსამართლე უნდა იცავდეს ეთიკის ნორმებს, ეთიკური ნორმების დაცვა და ეთიკური ნორმების დაცვის დემონსტრირება როგორც პროფესიული, ისე პირადი ასპექტით მოსამართლის ცხოვრების მნიშვნელოვანი ელემენტებია. მთავარია არა ის, თუ რას აკეთებს ან არ აკეთებს მოსამართლე, არამედ ის, თუ რა გააკეთა, ან რისი გაკეთება შეუძლია მოსამართლეს გარშემომყოფთა აზრით. ფაქტია, რომ საზოგადოება მოსამართლისაგან ქცევის მაღალ სტანდარტებს მოელის. არაკორექტული ქცევის გამოსავლენი კრიტერიუმია იმის განსაზღვრა, ხომ არ ვნებს ასეთი ქცევა მოსამართლის უნარს, პატიოსნად, მიუკერძოებლად, დამოუკიდებლად და კვალიფიციურად შეასრულოს მოსამართლის მოვალეობები, თუ, გარეშე დამკვირვებლის აზრით, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მოსამართლეს არ შეუძლია, ჯეროვნად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები.

--- სასამართლოს 2017 წლის 1 ივნისის სხდომის აუდიო ჩანაწერების დეტალურად მოსმენის შედეგად, იკვეთება ის გარემოება, რომ მოსამართლის ---- მხრიდან აპელანტის წარმომადგენლის - ---- მიმართ არაეთიკური მიმართვის ფაქტს ჰქონდა ადგილი, კერძოდ მოსამართლე ---- ირონიულად სცემს პასუხს წარმომადგენლის კომენტარებს, ამდენად, მოსამართლე ---- ქმედება შეიცავს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაცდომის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁴¹-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სადიციპლინო კოლეგია უფლებამოსილია გამოიტანოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში ბრალეულად ცნობა, დიციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და მოსამართლისათვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შესახებ.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁴⁴-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სადიციპლინო კოლეგია იღებს დიციპლინური გადაცდომის ჩადენაში ბრალეულად ცნობის, მისთვის დიციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ან მოსამართლისათვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შესახებ გადაწყვეტილების, თუ სადიციპლინო კოლეგიაში დიციპლინური საქმის განხილვისას ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით დადასტურდა აღნიშნული მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დიციპლინური გადაცდომის ბრალეული ჩადენა, მაგრამ დარღვევის მცირე მნიშვნელობის ან ბრალის

უმნიშვნელო ხარისხის გამო ან სხვა მოტივით (საკითხის დელიკატურობის გამო ან სხვა მიზეზით, მოსამართლის პიროვნების გათვალისწინებით) სადისციპლინო კოლეგია მიზანშეუწონლად თვლის მოსამართლისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრებას და საკმარისად მიაჩნია მისთვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

სადისციპლინო კოლეგია განმარტავს, რომ სამოსამართლეო უფლებამოსილების განხორციელებისას თითოეული მოსამართლე მოქმედებს, არა მხოლოდ საკუთარი, არამედ მთლიანად სასამართლო ხელისუფლების სახელით. თითოეული მოსამართლის მიერ განხორციელებული ქმედება ზეგავლენას ახდენს სასამართლო სისტემის პრესტიჟზე, რაც პირდაპირ აისახება სასამართლო ხელისუფლების მიმართ საზოგადოების ნდობაზე. ყველა მოსამართლემ უნდა გააცნობიეროს და გაითვალისწინოს, რომ მოსამართლის მაღალი სტატუსიდან გამომდინარე თითოეული მათგანის საქმიანობა წარმოადგენს საზოგადოების მუდმივი, ლეგიტიმური ინტერესის საგანს. ამიტომ, მოსამართლე უნდა ზრუნავდეს მთლიანად სასამართლო ხელისუფლების პროფესიონალიზმის, სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობისადმი საზოგადოების რწმენის დამკვიდრებასა და ამაღლებაზე. თითოეული მოსამართლე უნდა უფრთხილდებოდეს არა მხოლოდ საკუთარ, როგორც ცალკე აღებული მოსამართლია და პიროვნების ავტორიტეტს და პრესტიჟს, არამედ მთლიანად სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს.

ამგვარად საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ დისციპლინური სახდელის დაკისრების საკითხის გადაწყვეტისას, გაითვალისწინა მოსამართლის საქმიანი და მორალური რეპუტაცია, მხედველობაში მიიღო დისციპლინური გადაცდომის შინაარსი, შედეგები და მიიჩნია, რომ ---- სასამართლოს მოსამართლე ---- უდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა და გამოყენებულ იქნეს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით, 75⁴¹-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით, 75⁴⁴-ე, 75⁵²-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ---- სასამართლოს მოსამართლე ---- ცნობილ იქნეს ბრალეულად „ საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის (სამოსამართლეო ეთიკის ნორმების დარღვევა) ჩადენისათვის და დაეკისროს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება -კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების ასლები გადაეგზავნოთ კანონით გათვალისწინებულ უფლებამოსილ პირებს და ორგანოებს.
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში, გადაწყვეტილების გადაცემიდან 10 დღის ვადაში საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მეშვეობით.

თავმჯდომარე

წევრები:

ამირან ძაბუნაძე

თეა ძიმისტარაშვილი

ნიკოლოზ მარგველაშვილი